პროფესიული არჩევანის გაკეთება და პროფესიის შეცვლა

ქეთევან ცინცაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან ცინცაძე

26.06.2019

აბსტრაქტი

პროფესიული იდენტობა და კარიერის განვითარება მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც ზოგადად განვითარების, ისე კონკრეტულად იდენტობის ფორმირების პერსპექტივიდან. პროფესიულ არჩევანს ინდივიდი ძირითადად მოზარდობის ასაკში აკეთებს, თუმცა კარიერის კონსტრუირების პროცესი დინამიურია და მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. ზრდასრული ადამიანის მიერ პროფესიის ცვლილება არც თუ ისე იშვიათია. კვლევა მიზნად ისახავდა შეესწავლა პროფესიის არჩევის და ცვლილების გამოცდილება, თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით. კვლევის მონაწილე ხუთი 25-დან 35-წლამდე ზრდასრული იყო, რომელთაც შეიცვალეს პირველი პროფესია და საქმიანობენ რადიკალურად განსხვავებული მიმართულებით. მონაცემები დამუშავდა თემატური ანალიზის ინდუქციური მეთოდით. პროფესიის არჩევის ეტაპზე გამოიკვეთა შინაგანი და გარეგანი გავლენების თემა, რაც ზოგიეთ შემთხვევაში ხელისშემშლელი და რიგ შემთხვევაში ხელშემწყობი აღმოჩნდა მოზარდის პროფესიული თვითგამორკვევისათვის. კვლევის შედეგებში ასევე განხილულია დინამიკა პირველი პროფესიიდან პროფესიის ცვლილებამდე. ბოლო ნაწილი ფოკუსირებულია ახალ პროფესიასა და საქმიანობაზე, სადაც ხაზი გაესვა - თვითაქტუალიზაციასა და გარემო ფაქტორების მნიშვნელობას. კვლევის შედეგად ნათლად გამოჩნდა თვითგამორკვევის მნიშვნელობა, კარიერის დაგეგმვის და პროფესიული არჩევანის გაკეთების დროს მრავალფეროვანი ალტერნატივების განხილვის, ინტერესების შეფასების, პიროვნული მახასიათებლების აღმოჩენის და კონტექსტის გათვალისწინების საჭიროება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პროფესიული იდენტობა, კარიერის კონსტრუირება, ნარატივი, პროფესია, დასაქმება.

Abstract

Professional identity and the career development are essential issues both from the perspective of general development and identity formation . Generally, a person makes professional choice in adolescence, though the process of career construction is dynamic and lasts during the whole life. It is not rare when adults change their profession. The aim of the research was studying the experience of choosing and changing the profession by using qualitative research method. The participants of the research were five adults (from 25 to 35 year old) who had changed their primary profession and their occupations developed to radically different direction. The data was analyzed by thematical inductive methodology. At the stage of professional decision there had been revealed internal and external influences that were recognized both as negative and positive interferences to successful professional identity exploration. The development of dynamic from primary profession to new profession is also discussed in the results of the research. The last part of the results is focused on a new profession and occupation where it was underlined the importance of self-esteem and environment factors. The research results elucidated the importance of professional identity exploration, the necessity of career guidance, the discussion of multiple variety of alternatives, evaluation of the interests, the discovery of personal characteristics and context consideration while choosing the profession.

Key words: Professional Identity, Carrier Construction, Narrative, Profession, Occupation.

მადლობა

მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნინო სხირტლაძეს, რომლის თანადგომას მთელი პროცესის განმავლობაში ვგრნობდი. მადლობა მას მორალური მხარდაჭერისთვის და მნიშვნელოვანი პროფესიული რჩევებისთვის.